ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 104 (4614)

1972 წ. 30 მაისი, სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან




მოსწავლეთა რესპუბლიკური...

## ოთხ სახეობაში

ამჟამად თბილისის ბაზებზე სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები მიმდინარეობს ფეხბურთში, ხელბურთში, სპორტულ ტანვარჯიშში და მხატვრულ ტანვარჯიშში.

სპორტულ ტანვარჯიშში გოგონათა გუნდებმა უკვე დაამთავრეს ტურნირი. I ჯგუფის კოლექტივებს შორის გაიმარჯვეს თბილისელებმა — 402,71 ქულა. II ადგილზეა ქუთაისის ნაკრები (370,806), III — სამხრეთ ოსეთის გუნდი (350,021). II ჯგუფის კოლექტივებში უძლიერესი იყო გარდაბნის ნაკრები. ოსტატთა პროგრამით მოასპარეზეებში პირველობა მოიპოვეს ქ. გოგიჩაიშვილმა (აჭარა) და ვ. ვახილიევამ (თბილისი): მათ ქულათა თანაბარი რაოდენობა (74,1) დააგროვეს. ოსტატობის კანდიდატთა პროგრამით შეჯიბრებაში ყველას აჯობა ნ. უვაროვამ (სამხრეთ ოსეთი), პირველთანრიგოსნებში — გ. ნაროუშვილმა (აფხაზეთი).

ხელბურთელთა შეჯიბრების III და IV ტურები ასეთი შედეგებით აღინიშნა: გ ო გ ო ნ ე ბ ი. თბილისი — ფოთი 20:6, თბილისი — აფხაზეთი 11:7, ქუთაისი — ფოთი 15:8, აფხაზეთი — აჭარა 11:9, ქუთაისი — რუსთავი 15:15, რუსთავი — აჭარა 12:12 (ეს მატჩი რუსთაველებმა გააპროტესტეს); ჭ ა ბ უ კ ე ბ ი. თბილისი — აჭარა 29:12, თბილისი — ქუთაისი 18:14, აჭარა — სამხრეთ ოსეთი 22:18, აფხაზეთი — ქუთაისი 27:19, ფოთი — სამხრეთ ოსეთი 23:21, აფხაზეთი — ფოთი 35:23.

ფეხბურთელთა ასპარეზობის III ტურში ორი მატჩი ფრედ დამთავრდა: გორი — ქუთაისი 0:0, თბილისი — აჭარა 1:1.

## საქართველოს ავტომობილისტთა წარმატება

ლენინგრადიდან სასიხარულო ცნობა მოვიდა: საქართველოს ავტომობილისტებმა, რომლებიც აქ ი. გაგარინის სახელობის პრიზის გათამაშებაში მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის გუნდებთან ერთად ასპარეზობდნენ, ყველას აჯობეს და ძვირფასი ნადავლი დაისაკუთრეს.

საქართველოს ავტომობილისტები ამ პრიზის გათამაშებაში მესამედ მონაწილეობდნენ. წინა ორ ასპარეზობაში მათ II ადგილები მოიპოვეს.

შეჯიბრება კიროვის სახელობის სტადიონის ირგვლივ მოწყობილ 2,7-კილომეტრიან ტრასაზე გაიმართა. კოლექტივებს 4-4 ცდის უფლება ეძლეოდათ. პირველ ცდაში „ვოლგის", „მოსკვიჩისა" და „ვარტბურგის" ძრავიანი I, II და III ფორმულების სარბოლო მანქანები მონაწილეობდნენ. მათ 18 წრე უნდა შემოევლოთ.

საქართველოს გუნდში ამ ცდაზე შ. მამრიკიშვილი, თ. ზახაროვი და გ. ღლურჯიძე იყვნენ. რბოლისას მამრიკიშვილს ძრავამ უღალატა და რბოლას გამოეთიშა. ზახაროვმა V ადგილი დაიკავა. ღლურჯიძემ უფრო იმარჯვა — III ადგილი დაისაკუთრა. პირველობა მოიგო ლენინური კომკავშირის სახელობის მოსკოვის ავტოქარხნის თანამშრომელმა ი. ტერნეცკიმ.

შემდეგ სტარტზე სტანდარტული „მოსკვიჩები" გავიდნენ. მათ წინ 28 წრე ჰქონდათ. აქ თავი გამოიჩინა ახალგაზრდა სპორტის ოსტატობის კანდიდატმა ტ. ქადაგიშვილმა, რომელიც მესამე წრიდან დაწინაურდა. მან სსრ კავშირის ჩემპიონს ლ. ვასიკოვსაც გაუსწრო და ფინიშთან ყველაზე ადრე მიიჭრა.

მერე სარბიელი „ვოლგებს" დაუთმოთ. ყველაზე ძლიერმა შემადგენლობამ აქ მოიყარა თავი. სტარტზე გამოვიდა ქვეყნის ჩემპიონატის ყველა პრიზიორი. გაიმარჯვა თბილისელმა მ. ლოგინოვმა, II ადგილზეა მისი თანაგუნდელი ა. მარტიროსიანი. გუნდის მესამე წევრმა გ. თვაურმა IV ადგილი დაისაკუთრა.

ბოლოს ბრძოლაში IV ფორმულის სარბოლო მანქანები ჩაებნენ. საქართველოს გუნდის წევრთაგან საუკეთესო იყო ი. ვარტპატრიკოვი, რომელმაც III ადგილი დაიკავა.

როცა ყველა რბოლის შედეგები შეჯამდა, საერთო გუნდურ ჩათვლაში საქართველოს ნაკრებს 4 საჯარიმო ქულა აღმოაჩნდა და პირველობა და გარდამავალი თასი მიეკუთვნა. 7 საჯარიმო ქულით II ადგილზე გავიდნენ მასპინძლები. III ადგილი მოსკოველებმა მოიპოვეს — 8 ქულა.



ტურნირში ფიზკულტურული კოლექტივებისთვის პარალელური ჩათვლა ეწყობოდა. აქ გამარჯვება მოსკოვის ლენინური კომკავშირის სახელობის ავტოქარხნის გუნდმა დაისაკუთრა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ თბილისის № 2 და № 3 მსუბუქი ტაქსომოტორების საწარმოების გუნდები.

საქართველოს ავტომობილისტთა ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვის გუნდის მწვრთნელს გ. დგებუაძეს.

ზ. ქვათაძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ი. გაგარინის სახელობის პრიზი, რომელიც საქართველოს ავტომობილისტებმა მოიპოვეს.

## მატჩ-რევანში — 1973 წელს

მოსკოვი, 29 მაისი. ასუჯრიან შაშში მსოფლიო ჩემპიონის სახელისთვის მატჩ-რევანში ჰოლანდიელ ტ. სიიბრანდსსა და რიგელ ა. ანდრეიკოს შორის 1973 წელს გაიმართება. როგორც ცნობილია, სიიბრანდსმა ეს ტიტული რიგელ დიდოსტატს ამასწინანდელ „დიდ ოლიმპიურ ტურნირში" (ხენგელო) ჩამოართვა. როგორც სსრ კავშირის შაშის ფედერაციაში განაცხადეს, ამ შეხვედრის ზუსტი ვადა და ადგილი მოგვიანებით დადგინდება, როცა მხარეები მოლაპარაკებას დაამთავრებენ.



◆ ტოლუკა, 29 მაისი. მექსიკისა და ამერიკის შეერთებული შტატების ფეხბურთელთა გუნდებმა ჩრდილოეთ და ცენტრალური ამერიკის შესარჩევ შეჯიბრებაში წარმატებით XX ოლიმპიადის საგზურები მოიპოვეს: ოთხ ჯგუფში გამარჯვებულთა ფინალურ ტურნირში მათ შესაბამისად 8 და 7 ქულა დააგროვეს. აქ გამართულ ბოლო მატჩში მექსიკელებმა გვატემალის ნაკრებს სძლიეს — 3:1.

როცა გაზეთი ხელმოწერის [illegible] იყო ... $19^{45}$

◆ პარიზი, 29 მაისი. საბჭოთა ველოსიპედისტების დამაჯერებელი გამარჯვებით დამთავრდა 38-ე ტრადიციული ველორბოლა გაზეთ „იუმანიტეს" „დიდ პრიზზე": პირად ჩათვლაში საუკეთესო იყო ნალჩიკელი ი. ტრიფონოვი, ხოლო გუნდურში — სსრ კავშირის პროფკავშირთა ნაკრები. „დიდ პრიზს" ამჯერად ერთმანეთს ეცილებოდნენ საფრანგეთის, სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთის, პოლონეთისა და ირლანდიის მრბოლელები. თავდაპირველად პარკში სპორტსმენებმა 5,5 კილომეტრზე რიგ-რიგი სტარტით რბოლაში იასპარეზეს. ყველას აჯობა ამ პრიზის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებულმა ფრიდრიხმა (ჩეხოსლოვაკია), რომელმაც 6 წამით ჩამორჩა ტრიფონოვი. III და IV ადგილებზე გავიდნენ ვ. გავრილინი (მოსკოვის ოლქი) და კ. კაუპმესა (ტალინი). მეორე ეტაპზე (55 კმ) გაიმარჯვა პოლიკმა (ჩეხოსლოვაკია). ტრიფონოვი ამჯერადაც მეორე იყო. მესამე ეტაპი (65 კმ) უნგრელმა შიპოშმა მოიგო. მას კვალში მიჰყვნენ ომსკელი ი. ოსინცევი და ბუშე (გდრ). ტრიფონოვი მეხუთე იყო. მისი დროის ჯამია 7:00.37. V ადგილი დაიკავა ოსინცევმა, VII — კაუპმესმა, IX — გავრილინმა. გუნდურ ჩათვლაში II ადგილზე არიან გდრ-ის ველოსიპედისტები.

## „ვოდნიკი" პირველია

საქართველოს „ვოდნიკის" (თავმჯდომარე ვ. იორაშვილი) ფიზკულტურელებმა შარშანდელი სეზონი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს: დიდი გადაჭარბებით შესრულდა სპორტის ოსტატების, სპორტის ოსტატობის კანდიდატების, თანრიგოსნებისა და ნიშნოსნების, საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების მომზადების გეგმები.

71 მეზღვაურმა სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა საქართველოს V სპარტაკიადაში. მათგან 18-მა მოიპოვა სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება. ხუთმა ვოდნიკელმა წარმატებით დაიცვა საქართველოს ღირსება საბჭოთა კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში.

„ვოდნიკის" ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმმა საქართველოს ფიზკულტურულ ორგანიზაციას საკავშირო დათვალიერება-კონკურსში მაღალი მაჩვენებლებისთვის III ჯგუფის ორგანიზაციებს შორის I ადგილი მიაკუთვნა და გარდამავალი პრიზით დააჯილდოვა.

(ჩვენი კორ.).

ბათუმი.



## იზრდება საიმედო ცვლა

როგორც ცნობილია, სსრ კავშირისა და გდრ-ის „დინამოს" იუნიორ ტანმოვარჯიშეთა ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში გოგონათა აბსოლუტურ პირველობაში ყველას აჯობა სტუმრების წარმომადგენელმა კ. კუნჰარტმა, ჭაბუკებში კი პირველობა ლენინგრადელ ა. დიტიატინს ხვდა.

ცალკეულ იარაღებზე შეჯიბრებისას მრავალჭიდში გამარჯვებულებს ძალიან გაუჭირდათ. გერმანელმა გოგონამ მხოლოდ ორძელზე ვარჯიშში აჯობა ყველას, დანარჩენ სახეობებში კი პრიზიორთა სამეულებშიც ვერ მოხვდა. დიტიატინმაც მხოლოდ ტაიჭზე გაიმარჯვა, მაგრამ დანარჩენ იარაღებზე II ადგილზე წინ ვერ წავიდა.

ძალიან საინტერესო გამოდგა ასპარეზობა ცალკეულ იარაღებზე. წარმატებით გამოვიდნენ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები ქ. გოგიჩაიშვილი (მწვრთნელი ა. გაბრიაძე) და გ. რაჭველიშვილი (მწვრთნელი ო. მიქელაძე). პირველმა ყველას აჯობა ღვირზე და თავისუფალ ვარჯიშში. პირველ იარაღზე ქეთევანი ძალიან რთული ილეთებისგან შედგენილი კომბინაციით წარსდგა მაყურებლებისა და მსაჯების წინაშე, კარგად შეასრულა მაღალ ღვირზე და ისეთი შეფასება დაიმსახურა, რომ უახლოეს მეტოქეს I ადგილისთვის ბრძოლის ყველა გზა გადაუკეტა. გოგიჩაიშვილი ძლიერი იყო თავისუფალ ვარჯიშშიც. მისი კომბინაცია მსაჯებმა 9,5 ქულით შეაფასეს. ასეთი მაღალი ქულები შეჯიბრების მონაწილეთაგან არავის დაუმსახურებია.

გოგიჩაიშვილს არც გ. რაჭველიშვილი ჩამორჩა. მან კარგად შეასრულა ნახტომი და საგრძნობლად გაუსწრო თავის უახლოეს მეტოქეს, ვიტებსკელ რ. შარიპოვს. რაჭველიშვილმა ყველას აჯობა რგოლებზე ვარჯიშშიც.

შეჯიბრებამ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა. მონაწილენი წარმატებით ართმევდნენ თავს ურთულეს ილეთებს. მერე რა ვუყოთ, რომ ახალგაზრდებს დიდი ბრძოლების გამოცდილება აკლიათ. უნდა ვივარაუდოთ, რომ მოკლე ხანში ტანვარჯიშის მოყვარულები ა. ჰუსაინოვას, ჰ. გერეშის, ქ. გოგიჩაიშვილის, ა. დიტიატინის, გ. რაჭველიშვილის, გ. იაკუნინის, ზ. ვისტერმანისა და სხვათა დიდი წარმატებების მოწმენი გახდებიან.

ა. მურუსიძე.

• • •

ს უ რ ა თ ზ ე: ბ. ბახი თავისუფალი ვარჯიშის დროს.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

### ტექნიკური შედეგები

გოგონები. თავისუფალი ვარჯიში. 1. ქ. გოგიჩაიშვილი — 18,8 ქულა, 2. ბ. ბახი (გდრ) — 18,55, 3. ა. ჰუსაინოვა (უფა) — 18,55. ნახტომი. 1. ნ. ზელენკოვა (ვიტებსკი) — 18,65, 2. ჰ. გერეში (გდრ) — 18,65, 3. გოგიჩაიშვილი — 18,5. ორძელი. 1. კუნჰარტი (გდრ) — 18,7, 2. ზელენკოვა — 18,55, 3. ჰუსაინოვა — 18,25. ღვირი. 1. გოგიჩაიშვილი — 18,8, 2. ჰუსაინოვა — 18,7, გერეში — 18,65. ჭაბუკები. თავისუფალი ვარჯიში. 1. რ. შარიპოვი — 18,3, 2. რაჭველიშვილი — 18,0, 3. გ. იაკუნინი (ტაშკენტი) — 17,8. რგოლები. 1. რაჭველიშვილი — 18,25, 2. ვისტერმანი (გდრ) — 18,05, 3. შარიპოვი — 18,0. ტაიჭი. 1. დიტიატინი — 18,25, 2. გ. იუდენკო (ლენინგრადი) — 18,0, 3. იაკუნინი — 17,95. ორძელი. 1. იაკუნინი — 18,65, 2. დიტიატინი — 18,35, 3. რაჭველიშვილი — 18,0. ნახტომი: 1. რაჭველიშვილი — 18,2, 2. შ. შარიპოვი — 17,8, 3. ბ. ჰედეში (გდრ) — 17,65. ძელი. 1. იაკუნინი — 18,4, 2. ს. ბუსევი (ლენინგრადი) — 18,4, 3. ჰედეში — 18,35.

ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურ კომიტეტში

# „სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კპ თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ" სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებასთან დაკავშირებით რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ამოცანების გამო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ აღნიშნა, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციები ბოლო წლებში ღირსეულად ასრულებენ პარტიისა და მთავრობის დავალებებს ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარებისთვის.

სკკპ XXIV ყრილობიდან განვლილ პერიოდში რესპუბლიკის ფიზკულტურული ორგანიზაციების ცხოვრება ახალი ძალით წავიდა წინ, ახალი ფორმებითა და მეთოდებით გამდიდრდა. ფიზკულტურის კოლექტივები ორგანიზაციულად კიდევ უფრო განმტკიცდნენ, რესპუბლიკის მოსახლეობის 25 პროცენტი სისტემატურად მეცადინეობს ფიზკულტურასა და სპორტში. საწარმოო ტანვარჯიში მყარად დამკვიდრდა მშრომელთა ყოველდღიურ ყოფა-ცხოვრებაში. ფართოვდება ადგილებზე არსებული ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კლუბების მუშაობა, სულ უფრო მაღლდება საქართველოს სპორტსმენთა ოსტატობა.

მიუხედავად ამისა, თბილისის პარტიული ორგანიზაციის მუშაობის პრინციპული კრიტიკა მთლიანად ეხება რესპუბლიკის ფიზკულტურულ ორგანიზაციებსაც.

კოლეგია განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტები, სპორტსაზოგადოებათა საბჭოები და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სათანადოდ არ ზრუნავენ ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბებისა და სკოლების მუშაობის გაუმჯობესებისთვის. მხოლოდ ამით შეიძლება აიხსნას, რომ სსრ კავშირის სპორტის ოსტატთა და საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატთა მომზადების დავალებები სისტემატურად არ სრულდება. იმავე მიზეზით გაუარესდა შედეგები ფარიკაობაში, ტყვიის სროლაში, სპორტულ თამაშებში და სხვ.

იმის შედეგად, რომ ზემდგომი ორგანოებისა და საქართველოს სპორტკომიტეტის ბევრი გადაწყვეტილება შეუსრულებელი რჩება, ჯერ კიდევ სერიოზული ნაკლოვანებები გვაქვს. ფიზკულტურის კომიტეტების, სპორტსაზოგადოებათა საბჭოებისა და საუწყებო ფიზკულტურული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები იშვიათად არიან ფიზკულტურის კოლექტივებში, იშვიათად განიხილავენ ამ ორგანიზაციების საქმიანობის, აგრეთვე, ფიზკულტურული კადრების შერჩევის, განაწილებისა და აღზრდის საკითხებს.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში ცურვის, სპორტის ზამთრის სახეობებისა და სხვა კათედრებს 20-25 წელია ერთი და იგივე ადამიანები ხელმძღვანელობენ, რომლებსაც ზოგჯერ ორგანიზაციული მუშაობის ჩვევები არ გააჩნიათ. საქართველოს სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი ნაწილობრივ ჯერ კიდევ არაკვალიფიციური კადრებითაა დაკომპლექტებული.

ძალიან ცუდად სრულდება სპორტულ ნაგებობათა სარემონტო-სამშენებლო სამუშაოები. ეს ბაზები ხშირ შემთხვევაში სრული დატვირთვით არ მუშაობენ.

ყოველივე ზემოთქმულის გამო კომიტეტი ადგენს:

სახელმძღვანელოდ იქნეს მიღებული სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის ორგანიზატორული და პოლიტიკური მუშაობის შესახებ.

სკკპ XXIV ყრილობის მიერ დასახული ღონისძიებების, აგრეთვე, ფიზიკური კულტურისა და სპორტის შემდგომი განვითარების საკითხებზე პარტიისა და მთავრობის დადგენილებათა შესასრულებლად რესპუბლიკის ფიზკულტურის კომიტეტებს, ნებაყოფლობით სპორტსაზოგადოებათა საბჭოებსა და უწყებათა ფიზკულტურულ ორგანიზაციებს დაევალოთ:

მთავარი ყურადღება დაუთმონ ზემდგომი ორგანოებისა და საქართველოს სპორტკომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულებას, იბრძოლონ უწინ მიღებულ დადგენილებათა განხორციელებისთვის;

აამაღლონ პოლიტიკურ-აღმზრდელობითი მუშაობის დონე სპორტსმენთა და მწვრთნელთა შორის, იბრძოლონ სპორტული და საყოფაცხოვრებო რეჟიმის დარღვევის, ამორალური და სხვა უწესო საქციელის აღსაკვეთად. გააუმჯობესონ სპორტის პროპაგანდა, რისთვისაც მაქსიმალურად გამოიყენონ პრესა, რადიო და ტელევიზია, თვალსაჩინო აგიტაციისა და სალექციო პროპაგანდის ფორმები;

განახორციელონ ღონისძიებანი ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების სახელმწიფო ხუთწლიანი გეგმის ყველა ძირითადი მაჩვენებლის განუხრელად შესრულებისთვის. ყოველმხრივ განავითარონ სოციალისტური შეჯიბრება ფიზკულტურული მოძრაობის ყველა რგოლს შორის;

მიიღონ გადამჭრელი ზომები კადრებთან მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისთვის, გამოიჩინონ პრინციპულობა მათს შერჩევასა და განაწილებაში, სწორ აღზრდაში, კვალიფიკაციის ამაღლებაში, იდეურ-პოლიტიკური დონის ზრდასა და შრომითი დისციპლინის განმტკიცებაში;

ყოველმხრივ იბრძოლონ სახელმწიფო და საზოგადოებრივი თანხების ეკონომიური ხარჯვისთვის, დასახონ და განახორციელონ სპეციალური ღონისძიებანი მმართველი აპარატის სრულყოფისა და გაიაფებისთვის;

ყველა ღონეს მიმართონ არსებული სპორტული ბაზების კეთილმოწყობისა და მაქსიმალურად გამოყენებისთვის, მიაღწიონ ახალი სპორტული ბაზების მშენებლობას იმ ანგარიშით, რომ ფიზკულტურის ყოველ კოლექტივს საკუთარ ბაზებზე შეეძლოს „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის ნიშნოსანთა მომზადება.

რესპუბლიკის ყველა ფიზკულტურული ორგანიზაციის უმნიშვნელოვანეს ამოცანად ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებათა განუხრელი შესრულება, ამ ღირსშესანიშნავი თარიღისადმი მიძღვნილი ამიერკავკასიის რესპუბლიკების სპორტული თამაშების მომზადება და მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარება. მიღებული იქნეს ყველა აუცილებელი ზომა მიუნხენის XX ოლიმპიურ თამაშებში სსრ კავშირის ნაკრებ გუნდებში შემავალი საქართველოს სპორტსმენების წარმატებით მონაწილეობის უზრუნველსაყოფად.

# ასპარეზობენ ტექნიკუმელები

50 გზერს მოვიგებდით

საქართველოს ტექნიკუმების სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართა. ამ სარბიელზე ტურნირები გახშირდა, ვინაიდან „ლოკომოტივის" სტადიონზე დაზიანებული ბილიკების შეკეთება გაჭიანურდა. არადა, ლენინის სტადიონზე ბილიკები და სექტორები უვარგისია, შედეგები — უხეირო.

ამჯერად სტარტზე ქალთა 9 და ვაჟთა 14 კოლექტივი გამოვიდა, მათ შორის საერთო პირველობებიც ცალცალკე გათამაშდა. როგორც ქალთა (4428 ქულა), ისე ვაჟთა (9470) გუნდების ტურნირი თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმის მძლეოსნებმა დიდი უპირატესობით მოიგეს. II ადგილები თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმის გუნდებს ხვდათ — 2218 და 7829 ქულა შესაბამისად. III ადგილზე გავიდნენ: ქალთა შორის — რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის ტექნიკუმის ნაკრები (2159), ვაჟებში — თბილისის გაზის ტექნიკუმის კოლექტივი (6780).

პოლიტექნიკური ტექნიკუმის კოლექტივების გამარჯვება შემთხვევითი როდია. ამ სასწავლებლის დირექცია ბოლო წლებში ფიზკულტურას განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს. სტუდენტებს სწავლისა და წვრთნის ყველა პირობას უქმნიან, მასწავლებლები სპორტსმენებს დამატებით მეცადინეობებს უტარებენ და ისინიც სწავლაში აღარ ჩამორჩებიან.

პოლიტექნიკოსებმა პირად ტურნირშიც ყველაზე მეტად ისახელეს თავი — 13 პირველი ადგილი დაისაკუთრეს. ერთადერთი მძლეოსანიც, რომელმაც პირველი თანრიგის ნორმატივები შეასრულა, ამ კოლექტივის წარმომადგენელი, 100 და 200 მეტრზე რბენაში გამარჯვებული ა. ჭიენოვი გახლდათ — 10,9 და 22,6 შესაბამისად.

ხშირად გვიხდება ლაპარაკი იმაზე, რომ მძლეოსნობის მთელ რიგ სახეობებში სარბიელზე თითო-ოროლა სპორტსმენი გამოდის. ახლა მსგავსი რამ თითქმის არ მომხდარა. ერთადერთი გამონაკლისი შუბის მტყორცნელ ქალთა შეჯიბრება იყო: ამ სახეობაში გამარჯვებისთვის ორი სპორტსმენი იბრძოდა. პირველობა პოლიტექნიკური ტექნიკუმის გუნდის წევრმა ქ. სამადაშვილმა დაისაკუთრა — 35,16 მ.

ყველაზე ხალხმრავალი 200 მეტრზე მორბენალი ვაჟების შეჯიბრება იყო: სარბიელზე გამარჯვების 23 პრეტენდენტი გამოვიდა.

ამ შეჯიბრების ოცამდე ათლეტმა მეორე თანრიგის შედეგებით გაიმარჯვა: რუსთაველმა ნ. ქელეზნიაკოვამ — 100 მეტრზე რბენაში (12,6), ლ. სემირენკინამ — 400 მეტრზე რბენაში (1.00,8), ე. სტეკკინამ (ორივე — პოლიტექნიკუმი) — სიგრძეზე ხტომაში (510 სმ). ვაჟებში ეს თანრიგი შეასრულეს: 400 მეტრზე რბენაში — გ. შუღლიაშვილმა (თბილისის გაზის ტექნიკუმი) — 53,7, და ბ. გაბუნიამ (ფოთის სამთო ტექნიკუმი) — 54,0, 800 მეტრზე ასპარეზობაში — ვ. მანუკიანმა (პოლიტექნიკუმი) — 2.03,4, 1500 მეტრზე რბენაში — ი. პაპიაშვილმა (თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმი) — 4.09,3, სიმაღლეზე ხტომაში — მ. ჯოჯუამ (ფოთი) და ს. გამდლიშვილმა (პოლიტექნიკუმი) — 175-175 სმ, სიგრძეზე ხტომაში — გამდლიშვილმა — 648 სმ.

ისიც კარგია, რომ ბირთვის კვრაში მოასპარეზე 12 ქალიდან თანრიგს 9 მონაწილე შესწვდა, 200 მეტრზე მორბენალი 23 ვაჟიდან — 15, 22 სიგრძეზე მხტომელიდან — 16, 8 ბადროს მტყორცნელი ქალიდან — 7...

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ რამდენიმე ტექნიკუმმა ზოგიერთ სახეობაში სარბიელზე აშკარად მოუმზადებელი მძლეოსნები გამოიყვანა. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმის გუნდის წევრმა ე. თურქაძემ 100 მეტრის გარბენას 17,3 წამი მოანდომა, რაც მოზარდთა მესამე თანრიგის შედეგსაც ვერ უახლოვდება. ქუთაისის სატყეო ტექნიკუმის მოსწავლემ ნ. მესხიამ 400 მეტრის გარბენას 1.07,2 მოანდომა. ეს მხოლოდ მოზარდთა მეორე თანრიგის ნორმატივია. 800 მეტრზე რბენაში მოასპარეზე 12 ქალიდან მესამე თანრიგის შედეგი მხოლოდ გამარჯვებულმა ნ. ოდიშარიამ (სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმი) მოიპოვა — 2.37,8.

ო. ივლოშვილი.

## მხოლოდ პრიზიორები

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი საქართველოს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სისტემაში შემავალი ტექნიკუმების VII რესპუბლიკური სპარტაკიადის პროგრამაში მძლეოსნობის გარდა შედიოდა ცურვა, საგზაო-ტკეცილო ველორბოლა, კალათბურთი, ფრენბურთი, სპორტული ტანვარჯიში და ქართული ჭიდაობა.

ამ სახეობებში საპრიზო ადგილები ასე განაწილდა:

ცურვა

ქალები. 1. თბილისის პოლიტექნიკური, 2. თბილისის მანქანათმშენებლობის, 3. რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის ტექნიკუმები.

ვაჟები. 1. თბილისის პოლიტექნიკური, 2. თბილისის მანქანათმშენებლობის, 3. სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმები.

საგზატკეცილო ველორბოლა

1. თბილისის პოლიტექნიკური, 2. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის, 3. სოხუმის ინდუსტრიული ტექნიკუმები.

კალათბურთი

ქალები. 1. თბილისის მსუბუქი მრეწველობის, 2. თბილისის პოლიტექნიკური, 3. ქუთაისის სატყეო ტექნიკუმები.

ვაჟები. 1. ქუთაისის სატყეო, 2. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის, 3. თბილისის პოლიტექნიკური ტექნიკუმები.

ფრენბურთი

ქალები. 1. თბილისის მანქანათმშენებლობის, 2. თბილისის პოლიტექნიკური, 3. რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის ტექნიკუმები.

ვაჟები. 1. რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის, 2. თბილისის პოლიტექნიკური, 3. თბილისის მანქანათმშენებლობის ტექნიკუმები.

სპორტული ტანვარჯიში

ქალები. 1. თბილისის მანქანათმშენებლობის, 2. თბილისის პოლიტექნიკური, 3. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმები.

ვაჟები. 1. თბილისის პოლიტექნიკური, 2. თბილისის მანქანათმშენებლობის, 3. რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის ტექნიკუმები.

ქართული ჭიდაობა

1. თბილისის საბჭოთა ვაჭრობის, 2. თბილისის პოლიტექნიკური, 3. თბილისის მსუბუქი მრეწველობის ტექნიკუმები.

კომპლექსური ჩათვლა

1. თბილისის პოლიტექნიკური, 2. თბილისის მანქანათმშენებლობის, 3. რუსთავის ქიმიისა და მეტალურგიის ტექნიკუმები.

## რაიონებიდან სპორტული

**ვანი**

მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში შუაგორის საშუალო სკოლის გუნდმა მოიგო. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. მარვაშიძე, ი. კვირიკაძე, ვ. მაღლაკელიძე, ო. დიაკონიძე, ტ. და ბ. მამასახლისები (ყველა — შუაგორი), დ. ჩუბინიძე (კიროვის სახელობის საშუალო სკოლა), რ. ვაშაყმაძე (ისრითი), ა. გიორგაძე (გ. ტაბიძის სახელობის საშუალო სკოლა), ი. კიკაბიძე (შუამთა).

ნ. ბარამიძე,
სპორტის ოსტატი.

## რაიონებიდან სპორტული

**რუსთავი**

ჩატარდა ქალაქის ახალგაზრდა სამბისტთა პირადი პირველობა. წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: მ. გაბინაშვილი, გ. ივაშენკო, მ. მეზინი, ლ. პანჩენკო, ზ. შუკოვინი, ა. იარანცევი, ა. ფილიშვილი, ი. ლავროვი.

რ. გაბრიჩიძე.

**ხობი**

თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა რაიონულ შეჯიბრებაში წონითი კატეგორიების მიხედვით I ადგილები დაიკავეს: გ. შენგელიამ („კოლხეთის" მეურნეობა), ვ. სართანიამ, ა. თოდუამ (ორივე — პროფტექსასწავლებელი), მ. ალანიამ („კოლხეთი"), ა. ბერაიამ (ხეთა), გ. ჭაჭიამ („კოლხეთი"), ა. თამლიანმა, ი. ქანდარიამ (ორივე — პროფტექსასწავლებელი). გუნდური გამარჯვება პროფტექნიკური სასწავლებლის სპორტსმენებს ხვდათ.

ა. სანიკიძე,
რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

**ზუგდიდი**

დოსააფის საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა მოაწყვეს შეჯიბრება მრავალჭიდში, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ავტოსპორტში პირადი პირველობა მოიგო ა. სიჭინავამ (დოსააფის რაიონული კომიტეტის ავტო-მოტოკლუბი). მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლაში 81 ქულით ყველას აჯობა ვ. შონიამ (ენგურქაღალდკომბინატი). საერთო გუნდური I ადგილი მრავალჭიდში დოსააფის საქალაქო კომიტეტის ნაკრებმა დაისაკუთრა.

გ. ალშიბაია.

**თერჯოლა**

გაიმართა რაიონის მოსწავლეთა პირად-გუნდური შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში. გუნდურ ჩათვლაში თავი გამოიჩინეს ზედა საზანოს საშუალო სკოლის სპორტსმენებმა. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ო. რობაქიძემ, ზ. გავაშელაშვილმა (ორივე — ღვანკითი), დ. ცხელიშვილმა, გ. კუპატაძემ (ორივე — ზედა საზანო), ჟ. ორბელაძემ, გ. ქოჩიაშვილმა (ორივე — თერჯოლა), ზ. გამეზარდაშვილმა, ბ. და ვ. უკლებებმა (ყველა — ბარდუბანი).

ვ. კუტალაძე.

**ასპინძა**

დამთავრდა რაიონის მოსწავლეთა სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული ტურნირი ფეხბურთში. საშუალო სკოლების გუნდებს შორის I ადგილზე გავიდნენ ასპინძელები (მწვრთნელი ა. ლოლაძე). II ადგილზეა სოფ. ნაქალაქევის კოლექტივი (მწვრთნელი გ. მოსიძე). 8-წლიანი სკოლების შეჯიბრებაში გაიმარჯვა სოფ. იდუმალის გუნდმა (მწვრთნელი ვ. აფციაური). II ადგილზეა სოფ. საროს მოსწავლეთა კოლექტივი (მწვრთნელი შ. გოგოლაძე).

ვ. ცინაძე.

**წითელი წყარო**

რაიონის პირად-გუნდური პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ქვემო ქედის ნაკრებმა მოიგო. II ადგილზეა წითელი წყაროს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის გუნდი, III — ზემომაჩხაანელთა კოლექტივი.

• • •

რაიონის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ ზემო ქედის კოლმეურნეობისა და საკოლმეურნეო-სამშენებლო საბჭოს ფეხბურთელთა გუნდები. გაიმარჯვეს მშენებლებმა — 3:1.

უ. წყარუაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცუდად გაქვთ საქმე, ველოსიპედისტებო!

შარშან, 30 დეკემბერს „ლელომ" დაიბეჭდა საქართველოს 1972 წლის სპორტულ ღონისძიებათა კალენდარი, რომელშიც გარკვევით იყო აღნიშნული, რომ რესპუბლიკის თასის გათამაშება საგზატკეცილო ველოსპორტში 12-14 მაისს მოეწყობოდა გაგრაში. ამ კალენდარს ჩვენი სპორტული ორგანიზაციებისთვის კანონის ძალა აქვს და ამიტომაც ღონისძიებათა დაგეგმვისას მასში მოცემული ვადები უნდა გაითვალისწინონ. სამწუხაროდ, ხშირად ასე არ ხდება და სპორტსაზოგადოებათა წარმომადგენლებიც ვერ მონაწილეობენ ამა თუ იმ რესპუბლიკურ ტურნირში.

შეუძლებელია „შრომითი რეზერვებისა" და არმიის სპორტული კლუბის ხელმძღვანელებს არ სცოდნოდათ, რომ 12-14 მაისისთვის გაგრაში საქართველოს თასის გათამაშება იყო დანიშნული. მაშ რატომ დაგეგმეს თავიანთი ტურნირები სწორედ ამ ვადებში და ველოსიპედისტებს ასეთ მნიშვნელოვან შეჯიბრებაში მონაწილეობის უფლება წაართვეს? გაუგებარი წინდაუხედაობაა და რესპუბლიკის სპორტული ინტერესების უგულებელყოფა. ვფიქრობთ, ოთხი თვე სავსებით საკმარისი იყო იმისთვის, რომ „შრომითი რეზერვებისა" და არმიის სპორტკლუბის ველოსპორტის მესვეურებს გაზეთი გაეშალათ და დაეზუსტებინათ თასის გათამაშების ვადები. ტურნირში მონაწილეობა მიიღეს „განთიადის", „დინამოს", „ბურევესტნიკის", „კოლმეურნის", „სპარტაკისა" და „ლოკომოტივის" გუნდებმა. „შრომითი რეზერვებისა" და არმიის სპორტული კლუბის ველოსიპედისტები კი ამ დროს, როგორც აღვნიშნეთ, საუწყებო საქმეებით იყვნენ გართული.

შეჯიბრებამ ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ საგზატკეცილო ველოსპორტი ჩვენში ერთ ადგილს ტკეპნის და საგრძნობლად ჩამორჩება საკავშირო სტანდარტებს. გათამაშების დებულებაში, რომელიც დროულად დაეგზავნათ ორგანიზაციებს, ნათქვამი იყო, რომ ყოველი გუნდის შემადგენლობაში შეიძლება გამოიყვნენ 1947 წლამდე დაბადებული მხოლოდ ერთი სპორტსმენი. სწორედ ამიტომ, „განთიადის" გუნდში ვერ მოხვდნენ გამოცდილი ველოსიპედისტები ვ. კეხბა და ს. გრიშკევიჩი. დებულების ამ პუნქტის აზრი ნათელია: ფართო ასპარეზი მისცეს ახალგაზრდებს. მაგრამ რა გამოვიდა მერე? ახალგაზრდებმა ვერაფერი სახარბიელო გვიჩვენეს. უფრო მეტიც, გამოირკვა, რომ „განთიადს" კარგა ხანია შემადგენლობაში ჰყავს ერთი და იგივე ვითომ პერსპექტიული ახალგაზრდები, რომლებსაც წლები აშკარად ემატებათ, ოსტატობა კი... ნურას უკაცრავად.

და მაინც, I ადგილი „განთიადის" გუნდმა დაისაკუთრა. ამ საზოგადოების სახელს მხოლოდ ერთი თბილისელი ველოსიპედისტი იცავდა — ს. გრიშკევიჩი, და ისიც პირად ჩათვლაში. დანარჩენები რუსთავიდან და სოხუმიდან იყვნენ. გრიშკევიჩი აგერ უკვე მეთხუთმეტე წელია შეჯიბრებებში მონაწილეობს. გამოდის, თბილისში ამ 15 წლის მანძილზე ვერავინ მომზადდა ისეთი, რომ საზოგადოებამ ნაკრებში ადგილი ანდოს. ნუთუ ამის შემდეგ ძნელი გასაგებია, რატომ რჩება მუდამ ბოლო ადგილზე „განთიადი" საქალაქო შეჯიბრებებში?

ტურნირის მონაწილეთა საერთო ტექნიკური დონე აშკარად დაბალი იყო. ეს განსაკუთრებით ითქმის „ბურევესტნიკზე", რომელიც თასის არაერთგზის მფლობელია. საქართველოს თასის გათამაშების შედეგებმა „ბურევესტნიკის" ველოსიპედისტები სერიოზულად უნდა დააფიქროს, ვინაიდან წლეულს მათ სტუდენტთა საკავშირო თამაშები ელით.

ასპარეზობის დებულების მიხედვით, ჩათვლას 18 საუკეთესო შედეგი იძლეოდა. „ბურევესტნიკს" საუკეთესოთა სიაში მხოლოდ ერთი ადგილი ერგო (დ. კობაიძემ მეექვსე შედეგი აჩვენა). საინტერესოა, რისი იმედი უნდა გვქონდეს სტუდენტთა თამაშებში, როცა ბურევესტნიკელები ასე უსუსურნი არიან „შინაურ ფრონტზე"? სუსტად გამოვიდნენ „ლოკომოტივის" წარმომადგენლებიც, ამიტომ მათი ბოლო ადგილი არავის გაჰკვირვებია.

სპორტსაზოგადოებათა მწვრთნელებს უყვართ თავის მართლება. უმთავრესად ტრეკზე ვმუშაობთო. ჯერ ერთი, ეს ვერაფერი არგუმენტია. მაგრამ მათ ისიც ავიწყდებათ, რომ ტრეკზე წარმატების მიღწევა შეუძლებელია, თუ გზატკეცილზე ნიადაგი არა გაქვს შემზადებული. თანამედროვე ველოსპორტში სულ უფრო მეტად იშლება ზღვარი ტრეკსა და გზატკეცილს შორის. ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ერთ-ერთ სახეობაში წარმატება მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მეორე სახეობაზე და პირუკუ.

ერთი პატარა შენიშვნა „დინამოს" მიმართაც: ამ საზოგადოების ველოსპორტის მესვეურებმა მაინცდამაინც არ შეიწუხეს თავი და სპორტსმენები შეჯიბრებამდე მხოლოდ ერთი დღით ადრე შეკრიბეს, გამოვიდა კურიოზი: მწვრთნელი არც კი იცნობდა რაიონის ველოსიპედისტებს და ერთ-ერთ მათგანს — სოხუმელ ვ. ძაზოევს ბრმად ანდო ადგილი გუნდში. სოხუმელმა იმედები ვერ გაამართლა — რბოლას გამოეთიშა. გუნდი სამი ველოსიპედისტის ამარა დარჩა. ასეთ რისკს მწვრთნელი, რა თქმა უნდა, არ გასწევდა, თავისი გუნდის წევრთა შესაძლებლობანი რომ სცოდნოდა. საერთოდ კი მონაწილეთა მომზადების დაბალ დონეზე აშკარად მეტყველებს ისიც, რომ ჯგუფურ რბოლაში დისტანცია მონაწილეთა ერთმა მესამედმა ვერ დაამთავრა.

გუნდურ ჩათვლაში ადგილები ასე განაწილდა: 1. „განთიადი", 2. „კოლმეურნე", 3. „დინამო", 4. „სპარტაკი", 5. „ბურევესტნიკი", 6. „ლოკომოტივი".

**ჯგუფური რბოლა 110 კმ-ზე.** 1. ი. კრასავცევი—2:52.50, 2. ო. ქათამაძე (ორივე — „განთიადი") — 2:52.54, 3. ვ. კეხბა („განთიადი", პირადი ჩათვლა) — 2:53.10.

**გუნდური რბოლა 10 კმ-ზე.** 1. „განთიადი" (ი. კრასავცევი, გ. ტოლომაშვილი, ო. ქათამაძე, ო. თოლორდავა)— 1:40.16, 2. „დინამო" — 1:43.08, 3. „სპარტაკი" — 1:45.05.

**ნ. გუგუშვილი.**

სტატისტიკოსის ბლოკნოტში

# რაც შეეხება თბილისის „დინამოს"...

თბილისის „დინამოს" ფეხბურთელთა კოლექტივს ათეული წლების განმავლობაში საინტერესო და მდიდარი ისტორია აქვს შექმნილი. 34 ჩემპიონატის მანძილზე მის ბიოგრაფიაში ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა მოხდა, არაერთმა საყურადღებო ციფრმა მოიყარა თავი. სტატისტიკის მოყვარულთ ვთავაზობთ ზოგიერთ იმ მონაცემს, რომლებიც, ჩვენი აზრით, საინტერესო უნდა იყოს.

სულ საკავშირო ჩემპიონატებში სადღეისოდ დინამოელებს ბურთი არ გაუშვიათ 298 მატჩში, ხოლო თვითონ არ გაუტანიათ 186 შეხვედრაში, დიდი ანგარიშით (3 და მეტი ბურთის განსხვავებით) მოგებული აქვთ 118 შეხვედრა, მინიმალური განსხვავებით კი 175.

ამავე დროს, გუნდმა დიდი ანგარიშით წააგო 55 მატჩი, მინიმალურით — 117 ყველაზე მეტი — 101 შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 1:1.

დინამოელებმა ყველაზე მეტი მატჩი მოიგეს ანგარიშით 1:0 (88) და ყველაზე მეტი წააგეს ასეთივე ანგარიშით (53).

ჩვენმა გუნდმა ყველაზე მეტი გამარჯვება მოიპოვა 1950 წელს — 20, ხოლო 1936 წლის შემოდგომით მხოლოდ 1 მატჩი წააგო. ამავე დროს ყველაზე მეტი წაგება ჩვენი გუნდის ისტორიაში ჩაწერილია 1955 წლის გათამაშებაში — 12. ყველაზე მეტი გატანილი ბურთი აღნუსხულია 1950 წელს — 78. ყველაზე მეტი ქულა დინამოელებმა დააგროვეს მაშინ, როცა ჩემპიონები გახდნენ, ესე იგი, 1964 წელს — 48 (დამატებითი მატჩის ჩათვლით).

თბილისელებმა 31-ჯერ დაამარცხეს ლენინგრადის „ზენიტი" და ეს საუკეთესო მაჩვენებელია ყველა გუნდთან შეხვედრებში. ყველაზე მეტი მარცხი კი ნაწვნევი აქვთ მოსკოველი თანაკლუბელებისგან — 36.

იმ 53 გუნდიდან, რომლებსაც საკავშირო ჩემპიონატებში შეხვედრია, თბილისის „დინამომ" 35 დიდი ანგარიშით დაამარცხა. თავის მხრივ თბილისელები დიდი ანგარიშით დამარცხდნენ 16 გუნდთან.

თბილისისა და მოსკოვის დინამოელებს განსაკუთრებული ურთიერთობა აქვთ ერთმანეთთან. თბილისელები თავიანთ მთავარ მეტოქესთან 11-ჯერ დამარცხდნენ დიდი ანგარიშით, ხოლო თვითონ 2-ჯერ მოუგეს მას: 4:1 — 1939 წელს და 5:1 — 1967 წელს. ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ მოსკოველებმა თავიანთი ეს აქტივი ძირითადად დააგროვეს 1961 წლამდე და მას შემდეგ მხოლოდ 1969 წელს შეძლეს ასეთი გამარჯვების მოპოვება (4:1).

ერთადერთი შემთხვევა, როცა თბილისელებმა ორივე წრეში დაამარცხეს მოსკოვის „დინამო", მოხდა 1967 წელს— 1:0 და 5:1. იმ 12 გამარჯვებიდან, რომლებიც თბილისელებს აქვთ მოპოვებული მოსკოვის თანაკლუბელებთან, 7 ჩაწერილია 1964 წლიდან, ხოლო უწინდელ ხუთ მოგებას დასჭირდა 23 ჩემპიონატი (1936 წლიდან 1964 წლამდე).

თუ ამოსავალ წერტილად 1966 წელს ავიღებთ, თბილისელებს მოსკოვის „დინამო" დამარცხებული ჰყავთ 6-ჯერ, ხოლო მოსკოველებმა ამავე ხნის მანძილზე 5 თამაში მოიგეს. სასიამოვნო კარდატეხაა!

თბილისის „დინამოს" არც ერთი მატჩი არ მოუგია 7 გუნდთან, ხოლო არ წაუგია 18 მოწინააღმდეგესთან. 6 გუნდთან ჩვენ არც მოგვიგია, არც წაგვიგია.

თბილისელებმა 2 გუნდის კარში ვერ შეძლეს ბურთის გატანა, ხოლო თვითონ გოლი არ მიუღიათ 5 გუნდისგან.

**ზ. ესაკია.**

სოხუმი.

## [illegible]-72

● **ტოკიო, 28 მაისი.** სსრ კავშირის ფრენბურთელ ვაჟთა ნაკრებმა დღეს აქ გამართული მატჩით დაამთავრა იაპონური ტურნე: მეექვსედ შეხვდა ამომავალი მზის ქვეყნის ეროვნულ გუნდს. დღევანდელ თამაშში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 3:0 (16:14, 15:4, 15:4). ამრიგად, სსრ კავშირის ნაკრებმა იაპონიაში ექვსიდან სამი თამაში მოიგო.

● **ლვოვი, 28 მაისი.** ლვოვის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე საქვეყნოდ ცნობილი ტრასა „მაიოროვკა" დღეს მოტოკროსმენთა საერთაშორისო შეჯიბრების სარბიელად იქცა: ეს იყო „დუნაის თასის" გათამაშების მეორე ეტაპი. აპრილში უნგრეთის დედაქალაქში გამართულმა პირველმა ეტაპმა საბჭოთა სპორტსმენებს მოუტანა წარმატება როგორც პირად, ისე გუნდურ ჩათვლაში. ისინი ამჯერადაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდნენ და დაამტკიცეს თავიანთი სასტარტო ნომრების (პირველიდან ოთხამდე) „კანონიერება": გ. კავინოვმა, გ. მოისეევმა, ა. კიბირინმა და პ. რულიოვმა ზემოაღნიშნული თანმიმდევრობით გადაკვეთეს ორივე სერიის საფინიშო ხაზი. კავინოვმა საერთო I ადგილი დაიკავა. იგი შესანიშნავად ასპარეზობდა — მკვეთრი მოსახვევებით, ძნელი აღმართებითა და ციცაბო დაღმართებით აღსავსე ტრასაზე დიდი გამბედაობა და ოსტატობა გამოავლინა. გუნდურ ჩათვლაში ყველაზე ცოტა საჯარიმო ქულა (12) სსრ კავშირის პირველ ნაკრებს დაუგროვდა. ტრასის მასპინძლებს მედგარი მეტოქეობა გაუწია ჩეხოსლოვაკიის მეგობრულმა გუნდმა, რომელმაც 40 ქულით II ადგილი დაიკავა. შემდეგ მოდიან რუმინეთის (83 ქულა), ბულგარეთის (92) და უნგრეთის (95) მოტოციკლისტები. იუგოსლავიის გუნდმა და სსრ კავშირის მეორე ნაკრებმა ჩათვლა ვერ მიიღეს, ვინაიდან ფინიშთან მათს შემადგენლობებში აუცილებელი 3-3 მონაწილე არ აღმოჩნდა. „დუნაის თასის" გათამაშების მესამე ეტაპი რუმინეთში გაიმართება.

● **ვარშავა, 28 მაისი.** ხუთი ცნობილი პოლონელი ჩოგბურთელი (გონშორეკი, ნოვიცკი, ნეძვედსკი, რიბარჩიკი და ფიბაკი) ემზადება დევისის თასის გათამაშების მესამე წრის მატჩისთვის სსრ კავშირის ნაკრებთან. ეს შეხვედრა 9-11 ივნისს გაიმართება ვარშავაში, „ლეგიის" კლუბის კორტებზე.

● **მოსკოვი, 28 მაისი.** გუშინ აქ გაიმართა მოსკოვისა და ვარშავის ძალოსანთა ნაკრები გუნდების სამატჩო შეხვედრა. ცხრიდან რვა წონითს კატეგორიაში პირველობდნენ მასპინძლები. განსაკუთრებით ისახელა თავი ქვემძიმე წონის ათლეტმა ო. იუკაროვმა, რომელმაც სამჭიდში 490 კგ დააგროვა. ორივე მხარის ერთსულოვანი განცხადებით, შეჯიბრება ტრადიციად უნდა იქცეს.

# მინდორზე — ნორჩები

დიდი ინტერესი გამოიწვია „ტყავის ბურთის" პრიზის გათამაშებამ ეზოებისა და ქუჩების ნორჩ ფეხბურთელთა შორის.

უმცროსი ასაკის ბავშვთა (32 გუნდი) გადამწყვეტ მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ № 5 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის გუნდი „გაზაფხული" და მე-2 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის წარმომადგენელი „მერცხალი".

„გაზაფხულს" და „მერცხალს" სამჯერ მოუხდათ ერთმანეთთან თამაში. საბოლოოდ გამარჯვებული გამოავლინა 11-მეტრიანებმა, რომლებიც უკეთ გამოიყენეს „გაზაფხულის" ფეხბურთელებმა (მწვრთნელი ზ. ზარბაზოია).

უფროს ასაკში (43 გუნდი) ძლიერესნი აღმოჩნდნენ „წითელი ეშმაკუნები" (მწვრთნელი ვ. მეავაია), რომლებიც მე-2 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორის წარმომადგენლები არიან. ფინალში მათ ანგარიშით 1:0 დაამარცხეს „ივერია" (მე-4 საბინაო-საექსპლოატაციო კონტორა).

შეჯიბრებამ გამოავლინა ნიჭიერი ფეხბურთელები ზ. ჩხიკვაძე, ვ. დოლგიხი, ა. კორნეევი, ტ. ქიშმარია, ა. შავიშვილი, გ. ლორია...

**ო. მურვანიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# თამაზ გიორგაძე — ჩემპიონი

მოჭადრაკე ვაჟთა რესპუბლიკურ ჩემპიონატში მოეწყო XV და XVI ტურები.

**XV ტური:** ი. მანაშეროვი (ხაშური) — ა. ბალავაძე (რუსთავი) 0:1, გ. ბიბილაშვილი (გარდაბანი) — რ. დადიანი (სოხუმი) 0:1, ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) — ნ. ჩახოიანი (თბილისი) 0:1, თ. გიორგაძე (თბილისი) — ლ. ნეურონოვი (ბათუმი) 1:0, ზ. მიქაძე (გუდაუთა) — დ. გედევანიშვილი 0,5:0,5, ე. მიქაელიანი — დ. ჯანოევი (სამივე — თბილისი) 0,5:0,5, მ. არჩვაძე (სამტრედია)—ა. ტუზოვსკი (სოხუმი) 0,5:0,5, ა. ბუსლაევი — ე. უბილავა (ორივე — თბილისი) 0,5:0,5. გადაიდო ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — პ. შაქარიანის (თბილისი) პარტია.

შეჯიბრების ლიდერმა გიორგაძემ აქტივში კიდევ ერთი ქულა ჩაიწერა. მისმა მეტოქემ თამაშის უსწორო გეგმა აირჩია: გაცვალა შავი კუ, რითაც მეფის ფლანგი დაასუსტა. გიორგაძემ ენერგიულად გამოიყენა ნეურონოვის უზუსტო თამაში, იერიში მიიტანა მის მეფეზე, შეეძლო ხარისხი მოეგო, მაგრამ შეტევა ამჯობინა და 28-ე სვლაზე გაიმარჯვა. ლაზიერის გამბიტში ბიბილაშვილმა დადიანის წინააღმდეგ მშვიდი ვარიანტი აირჩია და შეეცადა პაიკით ცენტრი გაეძლიერებინა? — Actually "გაემაგრებინა"? zoom "ცენტრი გაეძლე- ვია"? I'll write as read.

ფინიშის მოახლოებამ ერთობ მშვიდობიანად განაწყო შეჯიბრების მონაწილენი. ეს ალბათ იმ გარემოებამაც განაპირობა, რომ პრიზიორთა ვინაობა ძირითადად გარკვეულია. ცხარე ბრძოლა ერთადერთ პარტიაში გაიმართა. აქ ერთ მხარეს აუცილებლად სჭირდებოდა მოგება, რათა ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეესრულებინა, მეორე მხარეს კი იმისთვის, რომ უსიამოვნო ბოლო ადგილს გასცლოდა. ლაპარაკია დადიან — მანაშეროვის შეხვედრაზე. ეს პარტია თავიდანვე მწვავედ წარიმართა. მანაშეროვი შეცდა და იძულებული შეიქნა ორ პაიკში ფიგურა დაეთმო. პარტიის ტექნიკური ნაწილი დადიანმა ჩინებულად ჩაატარა. ახლა მას ბოლო ტურში ყაიმიც ჰყოფნის, რათა ოსტატობის კანდიდატი გახდეს.

ამ ტურმა დაასახელა რესპუბლიკის ახალი ჩემპიონი — ოსტატი გიორგაძე. ოსტატ ბუსლაევთან შეხვედრაში მეტოქენი არ ცდილან ბრძოლის გამწვავებას და მალე დაზავდნენ კიდეც. მეტოქეს რესპუბლიკის ჩემპიონობა პირველმა ბუსლაევმა მიულოცა.

16 ტურის შემდეგ გიორგაძეს 13 ქულა აქვს. 10,5-10,5 ქულა მოაგროვეს უბილავამ და ჯანოევმა. 9,5 ქულა დაუგროვდა მიქაელიანს, 9 — ბუსლაევს, 8,5 — ტუზოვსკის, 8-8 — დადიანს, მიქაძეს, ბიბილაშვილს, ნეურონოვს, ოღონდ ამ უკანასკნელს 1 გადადებული პარტია აქვს.

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება.

დღეს ბოლო, XVII ტურია. ერთმანეთს ხვდებიან: ტუზოვსკი — გედევანიშვილი, არჩვაძე — შაქარიანი, მიქაძე — ბალავაძე, რაზოვსკი — დადიანი, მანაშეროვი — ჩახოიანი, ბიბილაშვილი — ჯანოევი, კერნაჟიცკი — უბილავა, მიქაელიანი — გიორგაძე, ბუსლაევი — ნეურონოვი.

**ა. ბლაგიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.
**ა. ცეხანელი.**

# დღეს ფინიშია!

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის დამთავრებამდე ერთი ტური დარჩა.

XI ტურში ნ. ხუბულურმა მოუგო დ. ქობალიას, თ. ხუგაშვილმა — ნ. ბალაშვილს. მ. მამისთვალოვამ წააგო მ. გაგლოევასთან, ხოლო თ. კაჭარავა (ყველა — თბილისი) — მ. ჩიბურდანიძის (ქუთაისი) შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. სამი პარტია გადაიდო.

XII ტურში პალაშვილმა წააგო კაჭარავასთან, გაგლოევამ — ჩიბურდანიძესთან (ეს ქუთაისელი მოჭადრაკის პირველი გამარჯვებაა), ს. კალანდარიშვილმა — ე. ბაშინურიძესთან. ც. კახაბრიშვილმა დაამარცხა მამისთვალოვა. ქობალია — მ. წერეთლისა და ქ გეგიძე (ყველა — თბილისი) — ხუბულურის პარტიები ყაიმით დამთავრდა. ერთი პარტია გადაიდო.

12 ტურის შემდეგ ლიდერობს ხუგაშვილი — 9,5 ქულა და 1 გადადებული პარტია. 8,5 ქულა მოაგროვა კაჭარავამ, 8 — კახაბრიშვილმა (1 პარტია გადადებულია), 7 — კალანდარიშვილმა (1), 6,5 — ხუბულურმა. 6 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს ნ. ჩიქობავას (თბილისი).

გუშინ მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება, დღეს კი ბოლო, XIII ტურია. ერთმანეთს ხვდებიან: კაჭარავა — გაგლოევა, ჩიბურდანიძე — კახაბრიშვილი, მამისთვალოვა — ქობალია, წერეთელი — გეგიძე, ხუბულური — კალანდარიშვილი, ბაშინურიძე — ხუგაშვილი, ჩიქობავა — ბალაშვილი.

## [illegible]-72

● როტერდამი, 28 მაისი. აქ დამთავრდა ჰოლანდიისა და სსრ კავშირის ახუჯრიანი შაშის ოსტატთა ტრადიციული შეჯიბრება. საბჭოთა მოშაშეების — ანდრეიკოს, კუპერმანის, შჩოგოლევის, განტვარგის, კორხოვის, დავიდოვისა და მოგილიანსკის წინააღმდეგ გამოდიოდნენ მსოფლიო ჩემპიონი სეიბრანდსი, როოზენბურგი, ფარკევისერი, რეიტერი, ვირსმა, გორდაინი და ჰერმელინკი. I ტურში გაიმარჯვეს მასპინძლებმა — 4:3, II ტური ყაიმით დამთავრდა — 3,5:3,5. დანარჩენი ორი ტური ერთნაირი ანგარიშით (4,5:2,5) მოიგეს სსრ კავშირის წარმომადგენლებმა. ამრიგად, საბოლოოდ ანგარიში გახდა 15,5:12,5 საბჭოთა მოშაშეების სასარგებლოდ.

● ვილნიუსი, 28 მაისი. აქ დამთავრდა ბულგარეთის, პოლონეთის, რსფსრ-ს, ესტონეთის, ლატვიისა და ლიტვის ცხენოსანთა საერთაშორისო შეჯიბრება. პროგრამის ექვსი სახეობიდან ხუთში წარმატებას საბჭოთა სპორტსმენებმა მიაღწიეს, ხოლო ერთ სახეობაში — ბულგარელებმა. გუნდური გამარჯვება რსფსრ-ს ცხენოსნებს ხვდათ.

● რიგა, 28 მაისი. „ბიკერნიეკის" ტრასაზე სტარტი მიეცა სსრ კავშირის ჩემპიონატს საგზატკეცილო-წრიულ სამოტოციკლო რბოლებში. წინა წლებისგან განსხვავებით, „175-ანების" კლასში ქვეყნის ჩემპიონის წოდება სარბოლო და სპორტული მანქანებისთვის ცალ-ცალკე გათამაშდება. სარბოლო მოტოციკლებით შეჯიბრებაში ლიდერობა ხელთ იგდო შარშანდელმა გამარჯვებულმა ბ. იუდინმა (მოსკოვი), ხოლო სპორტული მანქანებით — რიგელმა ვ. შილოვმა. ნავიანი მოტოციკლებით ორმაგ წარმატებას მიაღწიეს ვ. ჰელმემ და კ. ნეუქაუზმა: ესტონელთა ეკიპაჟი პირველი იყო „350-ანების" კლასშიც და ყველაზე მძიმე მანქანებით შეჯიბრებაშიც. „50-ანების" კლასში გაიმარჯვა მოსკოველმა ვ. ბორისენკომ. ქალთა შეჯიბრებაში I ადგილი დაიკავა ლატვიელმა ე. კიოპემ. აი, ჩემპიონატის პირველ ეტაპზე სხვა გამარჯვებულებიც: სარბოლო მანქანები. კ. ოშინი (ლატვია) — 125 კბ სმ; ი. ტილი — 250 კბ სმ; ლ. ტაეალუ (ორივე — ესტონეთი) — 350 კბ სმ; სპორტული მანქანები. ა. კალაჩევი (ბელორუსია) — 125 კბ სმ; უ. ლალო (ლატვია) — 350 კბ სმ. ჩემპიონატის II ტური ერთი კვირის შემდეგ მოეწყობა ვილიანდში. აგვისტოს დამდეგს მოტოციკლისტები კვლავ შეიკრიბებიან რიგაში, ჩემპიონატი კი 12-13 აგვისტოს დამთავრდება ილინში.

## ფრეზიერი რევანშისთვის მზადაა

ომაჰა (აშშ), 28 მაისი. მძიმე წონის პროფესიონალ მოკრივეთა შორის მსოფლიო ჩემპიონმა ჯო ფრეზიერმა აქ გამართულ მატჩში უმოწყალოდ გალახა ამერიკელი რონ სტანდერი. მეოთხე რაუნდის შემდეგ მსაჯმა შეხვედრა შეწყვიტა. ჰოსპიტალში სტანდერს სახეზე 17 ნაკერი დაადეს.

ბრძოლის შემდეგ ფრეზიერმა განაცხადა, რომ ახლა მზადაა მსოფლიო ჩემპიონის წოდებისთვის მატჩ-რევანშში მუჰამედ ალის შეხვდეს.

ობიექტივში მსოფლიო

## რინგზეა მოკრივე... ქალი



ქალთა კრივს ჯერჯერობით არც ერთი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი არ აღიარებს და ამ სახეობაში არც შეჯიბრებები ტარდება. ამჟამად ეს სანახაობა მისაწვდომია მხოლოდ სატელევიზიო შოუს მაყურებლებისთვის, რომელსაც ევროვიზია მომავალ ოლიმპიურ თამაშებს უძღვნის. მოკრივე ქალის როლში გამოდის ამერიკის ტელევიზიის ცნობილი ვარსკვლავი კარლუ ბრაიტი.

KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABDARUGAS

## მატჩის ექო

მიუნხენის ოლიმპიური სტადიონის გახსნის დღეს, 26 მაისს, ამ დიდებული სპორტული სარბიელის მწვანე მინდორზე გამართულ ამხანაგურ მატჩს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრებ გუნდებს შორის გფრ-ის სპორტული პრესა კვლავ დიდ ადგილს უთმობს. გერმანელ სპორტულ ჟურნალისტთა სიხარული სავსებით გასაგებია: მასპინძლებმა ევროპის ერთ-ერთ საუკეთესო გუნდს აჯობეს.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ სტუმრებს ორჯერ ჰქონდათ მასპინძელთა კარის აღების კარგი შანსი, მაგრამ ერთხელ, მაგალითად, სსრ კავშირის ნაკრების კაპიტნის ხურცილავას საწრაფი რეიდისა და შესანიშნავი დარტყმის შემდეგ ბურთი ძელმა უკუაგდო. ამავე დროს იმასაც აღნიშნავენ, რომ მეკარე რუდაკოვმა უხეში შეცდომა დაუშვა, როცა მიულერს მეოთხე ბურთი გაატანინა, მანამდე კი ამ დაუღალავ და ენერგიულ ცენტრალურ თავდამსხმელს ისტომინმა შეაშველა „ფეხი" მესამე ბურთის გატანაში.

პრესა ხოტბას ასხამს გფრ-ის ნაკრების თამაშს და განსაკუთრებით არავის გამოყოფა სურს, ვინაიდან ამ დღეს „გერმანელებმა კოლექტიური თამაშის, საოცარი შრომისმოყვარეობისა და ერთობლივი თავდადების შესანიშნავი მაგალითი უჩვენეს მრავალრიცხოვან მაყურებელს". და მაინც ყველაზე მეტად აქებენ შვარცენბეკს, ბეკენბაუერს, ვიმერს, ჰიონესს, მიულერსა და ნეცერს.

გაზეთები აღნიშნავენ მატჩის არბიტრის ა. მარგუესის (ბრაზილია) ჩინებულ მსაჯობას.

* * *

გფრ-ის ნაკრებმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მაიერი (კლეფი), ჰიოტგესი (ბონჰოფი), ბრაიტნერი, შვარცენბეკი, ბეკენბაუერი, ვიმერი, ჰაინკესი, ჰიონესი, მიულერი, ნეცერი, კრამერსი. (საბჭოთა გუნდის შემადგენლობა ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ).

■ მიუნჰენის საგზური — უბრძოლველად
■ სსრ კავშირი — ბულგარეთი
■ „ინდეპენდიენტეს" წარმატება
■ თასი „ციურიხმა" მოიგო

უბრძოლველად გამოვლინდა ოლიმპიური თამაშების ფინალური ტურნირის მე-11 მონაწილე. ვინაიდან მალაგასის რესპუბლიკის ნაკრებმა უარი განაცხადა სუდანთან თამაშზე, გამარჯვება ამ უკანასკნელს მიეკუთვნა.

სუდანელებმა თავიანთ ჯგუფში 7 ქულა დააგროვეს. II ადგილზეა ეთიოპიის ნაკრები — 5 ქულა.

სსრ კავშირის ასალგაზრდული ნაკრების მეტოქე ევროპული ტურნირის ნახევარფინალში ბულგარეთის გუნდი იქნება. ბულგარელებმა შეძლეს მესამე, გადამწყვეტი მატჩის მოგება ჰოლანდიის ნაკრებთან — 2:0 (პირველი ორი შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 2:2 და 0:0).

სამხრეთ ამერიკის ქვეყნების ჩემპიონთა თასი მოიპოვა არგენტინის „ინდეპენდიენტემ", რომელმაც ორ ფინალურ მატჩში აჯობა პერუს „უნივერსიტარიოს". პირველი შეხვედრა ლიმაში დამთავრდა ფრედ (0:0), შემდეგ კი არგენტინელებმა შინ მიიღეს მეტოქე და გაიმარჯვეს — 2:1.

„ციურიხის" გამარჯვებით დამთავრდა შვეიცარიის თასის გათამაშება. ამ გუნდმა ფინალში დაამარცხა „ბაზელი" — 1:0.

## ინგლისმა გაიმარჯვა, მაგრამ...

განვლილ შაბათს გლაზგოს „ჰემპდენ-პარკის" სტადიონზე დიდი ბრიტანეთის ჩემპიონატის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ შოტლანდიისა და ინგლისის ეროვნული გუნდები. თამაშს 120 ათასამდე მაყურებელი დაესწრო. შოტლანდიელ გულშემატკივართა ასეთი მოზღვავება უმთავრესად იმ გარემოებითაც აიხსნება, რომ მატჩის ფრედ დამთავრების შემთხვევაში მათი გუნდი I ადგილზე გავიოდა.

შეხვედრის ბედი გადაწყვიტა ერთადერთმა ბურთმა, რომელიც ინგლისელთა ნახევარმცველმა ა. ბოლმა გაიტანა 28-ე წუთზე. მატჩი, რომელიც უხეშობითა და არბიტრის გამუდმებული სტვენით აღინიშნა (თითოეულ მხარეს 25-მდე ჯარიმა ერგო!), მოიგეს ინგლისელებმა და I ადგილიც დაიკავეს.

თამაშის შემდეგ ცნობილმა ინგლისელმა სპორტულმა კომენტატორმა ბ. ბატლერმა განაცხადა: „ეს გამარჯვება ძალიან ძნელი იყო და ინგლისელებმა იგი დამსახურებულად მოიპოვეს, თუმცა არც ისე კარგად ითამაშეს. შოტლანდიელები მინდვრის შუაგულში უფრო აზრიანად და ცოცხლად თამაშობდნენ. ვფიქრობ, მწვრთნელს ალფ რამსეის არ უნდა დაავიწყდეს, რომ მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები გაისად იწყება და ასეთი გუნდით იგი შორს ვერ წავა".

* * *

ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები გახდნენ შოტლანდიელები. III ადგილზე გავიდა ჩრდილოეთ ირლანდიის ნაკრები, IV — უელსის გუნდი.

(საქ. ინფ.).

## გდრ — უნგრეთი 1:0

ლაიპციგი, 28 მაისი. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ფეხბურთელთა ნაკრებმა აქ გამართულ ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 1:0 სძლია უნგრეთის ეროვნულ გუნდს. თამაშს 25 ათასი მაყურებელი დაესწრო.

## ჩემპიონატები, თასები, ლიდერები

### საფრანგეთი

ეროვნული ჩემპიონატის 37-ე ტურში მარსელის „ოლიმპიკმა" შინ მოუგო „მონაკოს" — 4:2. მარსელელთა მხრივ ორი გოლი გაიტანა ცნობილმა იუგოსლავიელმა თავდამსხმელმა სკობლარმა. ამ გამარჯვებით მარსელის „ოლიმპიკმა" ჩემპიონობა შეინარჩუნა.

„ოლიმპიკის" კარს იცავს ცნობილი მეკარე კარნიუ. დაცვაში გამოირჩევიან ბოსკიე და ზვუნკა, ნახევარდაცვის ბურჯია ნოვი, აგრეთვე, ახალგაზრდა, პერსპექტიული მოთამაშე კურბი. თავდასხმა გუნდის უძლიერესი ხაზია: აქ თამაშობენ ისეთი ოსტატები, როგორიც არიან სკობლარი, შვედი მაგნუსენი, კუზაუ და გრესი.

ჩემპიონატის ფინიშამდე მხოლოდ 1 ტური დარჩა. ახლა საუკეთესო სნაიპერია აფრიკელი ს. კეიტა „სენტ-ეტიენიდან" — 23 გოლი. სკობლარს 28 ბურთი აქვს გატანილი.

აი, პირველი ოთხეული:

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ოლიმპიკი" (მარსელი) | 37 | 24 | 7 | 6 | 75:34 | 55 |
| „ოლიმპიკი" (ნიცა) | 37 | 20 | 9 | 8 | 72:37 | 49 |
| „სოშო" | 37 | 20 | 5 | 12 | 55:42 | 45 |
| „სენტ-ეტიენი" | 37 | 20 | 4 | 13 | 81:55 | 44 |

### იტალია

ტურინის „იუვენტუსმა" მეთოთხმეტედ მოიხვეჭა ჩემპიონის წოდება — გათამაშების ბოლოსწინა ტურში შინ ანგარიშით 2:0 სძლია „ვიჩენცას", 43 ქულა დააგროვა და უახლოესი მეტოქეებისთვის — „მილანისა" და „ტორინოსთვის" მიუწვდომელი აღმოჩნდა. ეს უკანასკნელნი ქულით ჩამორჩებოდნენ ლიდერს.

### გდრ

მიუხედავად იმისა, რომ „მაგდებურგმა" წააგო ბოლო ტურში, მან 38 ქულით უკვე გაინაღდა ჩემპიონის წოდება. მომდევნო ადგილებზე არიან ბერლინისა და დრეზდენის დინამოელები.

### გფრ

ფინიშამდე 3 ტურია დარჩენილი. ახლა 49 ქულით წინაა მიუნხენის „ბაიერნი", რომელმაც 1 ქულით ჩამოიტოვა ადრინდელი ლიდერი — „შალკე 04".

## 19.45

◆ მიუნსტერი (გფრ), 29 მაისი. ოდესელმა ი. ჟელეზნიაკმა „გაქცეულ ირემზე" სროლაში ყველას აჯობა ამ ქალაქის მახლობლად გამართულ საერთაშორისო ტურნირში. მან 560 ქულა დააგროვა. პრიზიორთა სამეულში შევიდნენ, აგრეთვე, გფრ-ის წარმომადგენელი კ. ცაისნერი (558 ქულა) და იტალიელი მეძანი (552). პეტროზავოდსკელმა ვ. პოსტოიანოვმა VI ადგილი დაიკავა — 547 ქულა. გუნდურ ჩათვლაში საბჭოთა მსროლელებმა გაიმარჯვეს — 1460 ქულა. იტალიის ნაკრებმა 1422 ქულა დააგროვა. III ადგილზე გასულ გფრ-ის გუნდსაც ამდენივე ქულა აქვს.

◆ ბელგრადი, 29 მაისი. სსრ კავშირის კალათბურთელ ქალთა ნაკრების მეტოქეები ევროპული ჩემპიონატის (8-16 ოქტომბერი, ბულგარეთის ქალაქები ბურგასი და ვარნა) „ა" ქვეჯგუფში პოლონეთის, რუმინეთის, იუგოსლავიის, იტალიისა და უნგრეთის გუნდები იქნებიან. ასე გადაწყვიტა კალათბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესმა, რომელიც იუგოსლავიაში მიმდინარეობს. „ბ" ქვეჯგუფში არიან: საფრანგეთი, ჩეხოსლოვაკია, ჰოლანდია, ბულგარეთი, გდრ და ავსტრია. თითოეული ქვეჯგუფიდან სამი საუკეთესო გუნდი ფინალში გავა, სადაც ოქროს მედლები გათამაშდება. გადაწყდა, აგრეთვე, რომ ევროპის 1974 წლის ჩემპიონატი ქალთა შორის კუნძულ სარდინიაზე (იტალია) გაიმართოს, ხოლო ვაჟთა გუნდებისა — 1975 წელს იუგოსლავიაში.

◆ პშემისლი, 29 მაისი. პოლონეთის ამ ქალაქში დამთავრდა საბჭოთა კავშირის გმირის, პოლკოვნიკ ვ. სკოპენკოს სახელობის საერთაშორისო მრავალდღიანი ველორბოლის პირველი ნახევარი. ლიდერობენ საბჭოთა ველოსიპედისტები: რიგელი რ. კალნენიეკსი (ოთხი ეტაპის ჯამში — 10:15.24), კიშინიოველი ი. პოლუპანოვი (10:16.32) და კუიბიშეველი ნ. სიტნოვი (10:17.03). გუნდურ ჩათვლაში დაწინაურდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების ნაკრები. V ეტაპზე მრბოლელები პოლონეთ—საბჭოთა კავშირის საზღვარს გადაკვეთენ.

## ახალი სნაიპერი

1971-72 წლების ჰოლანდიის ჩემპიონატში ყურადღება მიიპყრო ახალმა სნაიპერმა, რომელსაც მანამდე არავინ იცნობდა. ეს გახლავთ „დევენტერის" თავდამსხმელი გეელსი: მატჩი ისე არ გავა, მან ბურთი რომ არ გაიტანოს. ამ მხრივ გეელსმა სახელოვანი კრუიფიც კი დაჩრდილა.

საინტერესო იყო ამ სნაიპერების გუნდების — „აიაქსისა" და „დევენტერის" შეხვედრა. „დევენტერმა" სწორედ გეელსის წყალობით გაიმარჯვა (3:2), ამასთან, გეელსმა ორი ბურთი საკუთრივ გაიტანა, მესამე კი მისი გადაცემით გავიდა.

გეელსს უკვე არაერთი მიწვევა აქვს მიღებული პირველხარისხოვანი გუნდებისგან. განსაკუთრებით ცდილობს როტერდამის „ფეიენოორდი".

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.